სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 ივნისი, 2024 წელი

ბრძანება №01-02/94

„უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2024 წლის მესამე ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 10 ივნისის N01-02/78 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის N656037 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2024 წლის მესამე ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 10 ივნისის N01-02/78 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) ბრძანების მე-3 პუნქტის „3.2" ქვეპუნქტის „გ" ქვეპუნქტის ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალისთვის - 3490 ლარი."

ბ) ბრძანების N2 დანართის მე-2 პუნქტის „2.2" ქვეპუნქტის „გ" ქვეპუნქტის ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალისთვის - 3490 ლარი."

2. სამეცნიერო კვლევების სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით კონკურსის გამოცხადების განცხადების ტექსტის განახლება და (ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 10 ივნისის N01-02/78 ბრძანების N2 დანართი), ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისთვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიური სამსახურისთვის წარდგენა (ელ. ფოსტის მეშვეობით _ web@bsu.edu.ge).

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძეს), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში